ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №501616

ნომერი: AR1102376

თარიღი : 10.01.2013

გაცემის თარიღი : 11.01.2013

გაცნობის თარიღი : 11.01.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკაკი წერეთელი , N 2 ; ქალაქი თბილისი , გამზირი აკაკი წერეთელი , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ ჯღარკავა პ/ნ 01031000804
- თბილისი მ.ქანთარიას ქ. N 8/10 ბ. 7

ორგანიზაცია:

- შპს "დინამო არენა" კოდი: 401961579

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 22 ნოემბრის #444459 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 10 იანვარს #არ1102376 განცხადებით მომართა მოქ. ნიკოლოზ ჯღარკავამ და მოითხოვა სამსახურის 2012 წლის 22 ნოემბრის #444459 ბრძანებით დამოწმებულ არქიტექტურულ პროექტში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების მიზნით საპროექტო დოკუმენტაციაზე ღია ავტოსადგომების კორექტირებული დაკვალვის გეგმის დამატება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად შეისწავალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2012 წლის 22 ნოემბრის #444459 ბრძანებით ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი #2–ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.13.07.027 და 01.13.07.019.028) შეთანხმდა სტადიონის კომპლექსის რეკონსტრუქციის (საევაკუაციო აივნის ქვეშ კომერციული ობიექტები, WC , ავტოსადგომი, ღობე, დაცვის ჯიხური და სალარო) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. წარმოდგენილი განცხადების თანახმად აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტში დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: ღია ავტოსადგომების დაკვალვის გეგმაში (ფურცელი #ა–27) ღია ავტოსადგომების ფართად 9714 კვ.მ. –ის ნაცვლად შეცდომით იქნა დაფიქსირებული 13549 მ² კვ.მ. სამსახურმა გადაამოწმა შეთანხმებული არქიტექტურული გეგმა–ნახაზები და დაადგინა, რომ ღია ავტოსადგომების ფართობი შეადგენს ნამდვილად 9714 კვ.მ.–ს და აღნიშნული ფართობის ციფრობრივი მაჩვენებელი სწორად არის ასევე დაფიქსირებული როგორც დამკვეთის მიერ წარმოდგენილ განმარტებით ბარათში, ასევე არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ სამსახურის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ–ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში.

საქათრთველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისიწნებით და ვიანაიდან დამკვეთის მიერ დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა დაკვალვის გეგმაზე ღია ავტოსადგომის ფართის მითითების დროს, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გაასწოროს ტექნიკური შეცდომა და აღნიშნული გეგმის ნაცვლად საპორექტო დოკუემნტაციას დაამატოს ღია ავტოსადგომების კორექტირებული დაკვალვის გეგმა (ფურცელი #ა–27), რომელზედაც ავტოსადგომების ფართობად მითითებულია – 9714 კვ.მ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 22 ნოემბრის #444459 ბრძანებაში და საპროექტო დოკუმენტაციას ღია ავტოსადგომების დაკვალვის არსებული გეგმის ნაცვლად დაერთოს დაკვალვის კორექტირებული გეგმა (ფურცელი #ა–27), რომელზედაც სწორად იქნა დაფიქსირებული ავტოსადგომების ფართი – 9714 კვ.მ.;
2. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 22 ნოემბრის #444459 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.